



საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

N 04-02/46356
31/03/2017



46356-04-02-2-201703311614

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ირმა ქავთარაძეს

ქალბატონო ირმა,

თქვენი მიმდინარე წლის 29 მარტის N18/1796 და N18/1799 წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თანახმაა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განახორციელოს მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვები იმ შემთხვევაში, თუ სამინისტროს მიერ ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმართული იქნება:

- ✓ ონის მუნიციპალიტეტისა და სოფლების - უწერის, მრავალძალისა და კურორტ შოვის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე 2017-2018 წლებში ჯამურად 400 000 ლარი (დღგ-ს გარეშე);
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა და სოფლების - ნიკორწმინდა, ჭრებალოს, წესისა და შაორის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე 2017-2018 წლებში ჯამურად 400 000 ლარი (დღგ-ს გარეშე).

პატივისცემით,

ცოტნე ყავლაშვილი

მინისტრის მოადგილე